ხელშეკრულება № 08/10

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ონი 26 ოქტომბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა, მისი გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით და მეორე მხრივ ა(ა)იპ "ონის კულტურის ცენტრი", მისი დირექტორის მალხაზ ჯაფარიძის (შემდგომში "მიმწოდებელი") სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება" ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომ ,,შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 ,,მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც უზრუნველყოფს მომსახურების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 ,,დღე"; ,,კვირა"; ,,თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება.

2.1 შესყიდვის ობიექტია ქ. ცაგერში ფესტივალ ,,რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი"-ში მონაწილეობის მიღება, რომელიც ჩატარდება კომპანია ,,Geo Tourist"-ისა საქართველოს ფოლკლორის ცენტრის მხარდაჭერით.

2.2 სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 2520 (ორი ათას ხუთასოცი) ლარი, (ადგილობრივი ბიუჯეტიდან)

2.3 მომსახურება უნდა განხორციელდეს ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

3.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ცონტროლს ანხორციელებს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახური.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პირობებით.

3.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

3.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 31 ოქტომბერს.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველს წარმოადგენს ონის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურის დასკვნა განხორციელებული სამუშაოების და მომსახურების შესახებ.

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 ანგარიშსწორების გრაფიკი (მხარეთა შეთანხმებით) (ეტაპობრივად, მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში).

7. ფასები

7.1 ხელშეკრულების ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

8.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

8.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

8.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

8.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

(საჯარიმო სანქციები, ფორმა, ოდენობა და გადახდის ვადები)

11.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები.

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიმწოდებელი დაჯარიმდება სახელშეკრულებო ღირებულების 5 %-ით.

12. ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

13.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

14. ხელშეკრულების ენა

14.1 ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

15. შეტყობინება

15.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

15.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16. გადასახადები და დაბეგვრა

16.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ზემოთ მითითებული თარიღიდან 2015 წლის 1 დეკემბრამდე.

18. სხვა პირობები

18.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

18.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და მეორე

პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.4 გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

18.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა:

/გიორგი ლობჯანიძე/

ქ.ონი, დავით აღმაშენებლის №1

ს/კ №237978275

სახელმწიფო ხაზინა

ბ.კ. TRESGE22.

ა/ნ №GE24NB0330100165022

მიმწოდებელი:

ა(ა)იპ „ონის კულტურის ცენტრი"

/მალხაზ ჯაფარიძე/

ქ. ონი, კახაბრის ქ. 3

ტელ.: 599 792939

ს/კ 237978337

ლიბერთი ბანკი

ა/ნ №GE56115114040335000

ბ .კ.LBRTGE22

5. ხარჯთაღრიცხვა

№	განსახორციელებელი სამუშაოები	ერთეულის ფასი	სულ	შენიშვნა
1.	ანსამბლი „ბუბას“ ტრანსპორტირება-ონი-გლოლა - ცაგერი-გლოლა - ონი	300 ლარი	300 ლარი	
2.	ანსამბლი „რაჭის“ ტრანსპორტირება	200 ლარი	200ლარი	
3.	ანსამბლ„ბიჭუნეების“, სამხატვრო სკოლის მოსწავლეების, სხვა დანარჩენი მონაწილეების ტრანსპორტირება	200 ლარი	200 ლარი	
4.	ფესტივალის მონაწილეთა კვება: სამხატვრო სკოლა – 10 მონაწილე ანსამბლი „ბუბა“ -12 მონაწილე ანსამბლი ბიჭუნეები - 34 მონაწილე ანსამბლი“რაჭა“ -14 მონაწილე სულ - 70 მონაწილე	10 ლარი	70 X10=700 ლარი	
5.	ზემო რაჭისათვის დამახასიათებელი კულინარიის წარდგენა	1120 ლარი	1120 ლარი	

სულ პროექტის ღირებულება - 2 520 ლარი

ონის მუნიციპალიტეტის, განათლების, კულტურის,

სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და

სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

გია მელაშვილი

1.პროექტის სახელწოდება:

რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მუნიციპალიტეტებში კულტურათა გაცვლის ხელშეწყობა

2.მიზანი:

რეგიონის მუნიციპალიტეტებში კულტურათა გაცვლის ხელშეწყობა

3.პროექტის აღწერა:

კომპანია „გეოტურისტის" და ფოლკლორის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით 2014 წელს ამბროლაურში ჩატარდა ფოლკლორული ფესტივალი „რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი - 2014". ასეთივე ფესტივალი 2015 წელს ტარდება ცაგერში. მომდევნო წლებში კი განსაზღვრულია ფოლკლორული ფესტივალის ჩატარება ონისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტებში.

მსგავსი ფოლკლორული ფესტივალები იმითაა მნიშვნელოვანი,რომ ხდება კულტურათა გაცვლა მუნიციპალიტეტებს შორის, ჩნდება შემოქმედებითი შეჯიბრის მოტივაცია, ვინ უკეთ წარსდგება მაყურებელთან. ხდება ახალი ფოლკლორული მარგალიტების მოძიება და მისი პოპულარიზაცია. ასპარეზზე გამოდიან ახალი ფოლკლორული კოლექტივები და ინდივიდუალური შემსრულებლები. ხდება ძველი ტრადიციების შენარჩუნება. ღონისძიების გამართვა ხელს უწყობს მუნიციპალიტეტების მხატვრული კოლექტივებისა და მოსახლეობის დაახლოებას

ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ:

1. ანსამბლი „რაჭა" - 14 მონაწილე
2. ანსამბლი „ბუბა" -12 მონაწილე
3. ანსამბლი ბიჭუნეები - 34 მონაწილე
4. სამხატვრო სკოლის მოსწავლეები -6 მონაწილე
5. პედაგოგები - 4 პედაგოგი

სულ - 70 მონაწილე

ონის მუნიციპალიტეტის, განათლების, კულტურის,

სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და

სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

გია მელაშვილი

4.ღონისძიების გეგმა

1. რაჭული ფოლკლორის წარდგენა, მონაწილეობას მიიღებენ:

ანსამბლი „რაჭა“

ანსამბლი „ბუბა“

ანსამბლი „ბიჭუნეები“

2, მოეწყობა რეწვის ოსტატების გამიფენა

3.ონელი მხატვრების გამოფენა

4. სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა გამოფენა

5. ზემო რაჭისათვის დამახასიათებელი კულინარიული ნაწარმის გამოფენა.

ონის მუნიციპალიტეტის, განათლების, კულტურის,

სპორტის, ახალგაზრდობის საქმეთა და

სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი

გია მელაშვილი

N 324

22/10/2015

ონის მუნიციპალიტეტის გამგებელს

ბატონ **გიორგი ლობჯანიძეს**

ბატონო გიორგი,

როგორც თქვენთვის ცნობილია მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს ქალაქ ცაგერში ხორციელდება რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალი ,,რაჭა-ლეჩხუმი, ქვემო სვანეთი 2015". ფესტივლის ხარჯი გათვალისწინებულია ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში თანხით 2520(ორიათასხუთას ოცი)ლარი.

ამ ღონისძიებაში ჩვენი მუნიციპალიტეტიდან მონაწილეთა მისაღებად გთხოვთ გააფორმოთ ხელშეკრულება ონის მუნიციპალიტეტის ა.ი.პ.კულტურის ცენტრთან.

გიორგი მელაშვილი

გ. მელაშვილი

სამსახურის უფროსი

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა და სოციალური დაცვის სამსახური